პრეს რელიზი **თბილისი**

22.02.2023

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ, *FinExCoop საქართველოს* მეხუთე სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრას უმასპინძლა

22 თებერვალი, 2023, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, (NFA) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ფინანსები, გაფართოება და კოოპერატივებს განვითარება ქართველი ფერმერებისათვის“ (FinExCoop საქართველო) სამეთვალყურეო საბჭოს, რიგით მეხუთე შეხვედრას უმასპინძლა. ღონისძიება ორგანიზებულ იქნა, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) მიერ, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით. შეხვედრა სინქრონულად ზუმ-ის პლატფორმის მეშვეობით მიმდინარეობდა.

შეხვედრის მიზანს, პარტნიორებთან და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, პროექტის II ფაზის მიღწევებისა და პროგრესის შეჯამება და ასევე, III ფაზის ფარგლებში დაგეგმილი შემდეგი ნაბიჯების განხილვა წარმოადგედა.

შეხვედრაზე მონაწილეებს გახსნითი სიტყვით მიმართა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მინისტრის პირველმა მოადგილემ, ბატონი გიორგი ხანიშვილი, რომელმაც, წარმოადგინა MEPA-ს სტრატეგია და ორგანიზაციის ძირითადი მაჩვენებლები და ხაზი გაუსვა საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებას. *„ქართული სოფლის მეურნეობა დამოკიდებულია და კორელაციაშია საქართველოს ეკონომიკაზე. თუ კი გადავხედავთ განვითარების ეტაპებს დავინახავთ, რომ აქამდე მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა განხორციელებული. დონორები მხარს გვიჭერენ რწმენის განმტკიცებაში და ჩვენ ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, რათა განვავითაროთ სოფლის მეურნეობა ჩვენს ქვეყანაში, CFDA შეთანხმებების, აშშ-ს მთავრობის და ევროკავშირის დაფინანსებით, რაც ეხმარება საქართველოს გახდეს ევროკავშირის წევრი უახლოეს მომავალში“.* განაცხადა მინისტრს პირველმა მოადგილემ.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით ასევე ბ-ნი ჟორჟ დეუ, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სურსათის უვნებლობის პროგრამის მენეჯერმა მიმართა, მან ხაზი გაუსვა, საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების, ევროკავშირის მხარდაჭერის სტრატეგიის დინამიკასა და მნიშვნელობას. *“ჩვენ ვუახლოვდებით დასკვნით ეტაპს, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის (ARDSG) განხორციელების თვალსაზრისით, რადგან 2023 წელი მისი პირველი ეტაპის, საწყისი აქტივობების ამოქმედებისა და სურსათის უვნებლობის სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ბოლო წელია. ახალი სამოქმედო გეგმისა და სურსათის უვნებლობის დოკუმენტის შემუშავება, რომელიც მოიცავს 2024-2027 პერიოდს, საჭიროებს განსაკუთრებულ საზრიანობას, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული მთავრობის ამბიციები აღნიშნულ სექტორთან მიმართებაში, ევროკავშირის სისტემის ფარგლებში, განსაკუთრებით კი ევროკავშირის „farm-to-fork“ სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით.*

ევროკავშირი სამინისტროს ერთგულ მხარდამჭერად რჩება აღნიშნულ სტრატეგიულ ანალიზში, მის პარტნიორებთან ერთად, როგორიცაა AFD, და მისი პროექტი FinExCoop საქართველო. ჩვენი მიზნები თანხვედრაშია სამინისტროს მიზნებთან, რაც გულისხმობს საქართველოში ეფექტურ და მაღალ პროდუქტიულ სოფლის მეურნეობის განვითარებას, რომელიც დაეფუძნება ინკლუზიურობას და მწვანე, მომხმარებელთა დაცვის პრინციპებს"

AFD-მ წარმოადგინა სტრატეგიისა და ვალდებულებების მნიშვნელოვანი პუნქტები საქართველოში, განსაკუთრებით კი სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში. *"ჩვენ დავასრულეთ პროექტის მეორე ეტაპი და შევედით მესამე ფაზაში, ეს პროექტი შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს, AFD-თან თანამშრომლობის კატალიზატორად. ახლა ჩვენ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ვმონაწილეობთ უფრო დიდ პროექტებში საქართველოში, და ბევრი რამის შექმნა მოხდა FinExCoop-ის წყალობით."* განაცხადა რაფაელ ჯოზანმა, AFD-ის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა სამხრეთ კავკასიაში.

დოქტორ კრისტოფ კორდონიემ, FinExCoop საქართველოს გუნდის ლიდერმა და ფრანკფურტის ფინანსებისა და მენეჯმენტის სკოლის უფროსმა კონსულტანტმა, წარადგინა FinExCoop-ის პროგრესი და მიღწევები მე-2 ფაზის ბოლოს და აღნიშნა *„FinExCoop-ის საქმიანობა სისტემატურად აერთიანებს სტრატეგიულ მიდგომას, იფიქრე დიდხანს და პრაქტიკულ საველე მიდგომას - იმოქმედე პროფესიონალი ექსპერტების მობილიზებაზე დაყრდნობით, რომელთა ეფექტურობასაც ხაზი გაესვა ბენეფიციარების მიერ, რათა მიღწეულ იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია. FinExCoop-ის მიერ განხორციელებული ექსპერიმენტული ნამუშევრები, შეიძლება გამოყენებულ იქნას მასშტაბების გაზრდისა და მდგრადობისთვის სხვა დაინტერესებულ მხარეებთან სტრატეგიული პარტნიორობის გზით".*

შეხვედრაზე ბატონმა კორდონიემ ასევე წარმოადგინა FinExCoop-ის მესამე ფაზის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები. ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტი გეგმავს მუშაობას პოლიტიკის რჩევებზე, ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებაზე, ექსტენსიისტების შესაძლებლობების განვითარებაზე, გრასრუტის კოოპერატივის განვითარებასა დაგროფინანსების მხარდაჭერაზე. ყველა ამ ზემოთჩამოთვლილი სტრატეგიული აქტივობისთვის, FinExCoop მოაწერს ხელს და განახორციელებს კონკრეტულ მემორანდუმებს პარტნიორებთან, რაც უზრუნველყოფს მისი ცოდნის კონსოლიდაციას და გავრცელებას პროექტის დასრულების შემდეგ.

ევროკავშირი, FinExCoop პროექტის ფარგლებში, მხარს უჭერს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის გაფართოების სერვისებსა და ფერმერების ცნობიერების ამაღლებას, საქართველოს მცირე ფერმებსა და კოოპერატივებში. FinExCoop-ის მიერ 2022 წლის დეკემბერში 92 ბენეფიციართან ჩატარებული შეფასების კვლევის შედეგების მიხედვით: გამოკითხულ ფერმერთა შორის, მხოლოდ 13%-მა იცოდა მოწინავე ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს შესახებ პროექტამდე, მათგან 77%-მა მიიღო მონაწილეობა საველე ტრენინგებში და ისარგებლა ექსპერიმენტული პილოტებით, გამოკითხულ ფერმერთა 98% დაეთანხმა, რომ ჩატარებულმა ტრენინგებმა გაზარდა მათი ცოდნა წარმოების შესახებ და ეს სია კიდევ გრძელდება.

სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრას ესწრებოდნენ, ევროკავშირის დელეგაციის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, AFD-ის, FinExCoop საქართველო-ს, FAO-ს და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

„ფინანსები, გაფართოება და კოოპერატივების განვითარება ქართველი ფერმერებისთვის“ FinExCoop Georgia დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ EU (NIF) პროგრამის ფარგლებში. პროექტის მენეჯმენტი და კოორდინაცია ხდება საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მიერ (AFD). ოთხწლიანი პროექტი რომლის ჯამური ბიუჯეტი 4 მილიონი ევროა, მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის ფინანსებთან წვდომის გაუმჯობესებას მცირე მასშტაბური კომერციული მეურნეობებისა და კოოპერატივებისათვის საქართველოში.

საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD) ახორციელებს საფრანგეთის პოლიტიკას საერთაშორისო განვითარებისა და სოლიდარობის შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საჯარო სექტორის დაფინანსებით, ისევე როგორც კვლევებითა და პუბლიკაციებით, AFD მხარს უჭერს და აჩქარებს პროცესებს უფრო სამართლიან, გამძლე სამყაროს ჩამოყალიბებაზე. ის ასევე უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას მდგრადი განვითარების შესახებ (AFD Campus-ში) და ცნობიერების ამაღლების სხვა აქტივობებს საფრანგეთში.

საკონტაქტო პირი: თინათინ ჭულუხაძე, მერსი ქორფსი, FinExCoop საქართველო, 599 201555, Tichulukhadze@gmail.com